
ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

ბროსეს ქუჩა №12



თბილისი
2021, ნოემბერი

საკვლევი ტერიტორია ისტორიული თბილისის ცენტრში, რუსთაველის გამზირის პარალელურ ბროსეს ქუჩაზე, №12-ში მდებარეობს, ყოფილი "გარეთუბნის" ფარგლებში. არსებითად, ეს ადგილი რუსთაველის (გოლოვინსკის) პროსპექტზე გამავალი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ანსამბლის "ზურგს" – წარმოადგენს.


ПРОСПЕКТЪ
ГОЛОВИНСКІЙ
ЭРИВАНСКАЯ ПЛОЩАДЬ
ГОЛОВИНСКАЯ УЛИЦА
ДАВЫДОВСКАЯ УЛИЦА
ЛОРИСЬ-МЕЛИКОВСКАЯ УЛ.
ГРИБОЕДОВСКАЯ УЛ.
ЭРИВАНСКАЯ УЛ.
ЖЕН. ИНСТ. С.Н.В.В.К. ВЕЛИКОЙ КНЯГИНИ ОЛЬГИ ГЕОРГ.
ЛЬСОВОД. АКАДЕМІЯ
МИХАЙЛОВ. ГОР. БОЛЬНИЦА
АБС. ЗДВ. МИНАРЕТЪ ПИР
ОКР. АРТ. УПРАВ.
КАВК. САПЕР. БАТАЛ. КАЗАРМ
САПЕРНЫЙ ПЕР.
САПЕРНАЯ УЛИЦА
ИНЖЕНЕРНАЯ УЛ.
ТЕАТ.
КВ. ПОМОЩ. ГЛАВНОНАЧ.
ТИФЛИС. СОБРАНІЕ
БОЛ. ТЕАТРЪ
ТИФЛ. КАД. КОР.
ВОЕН. ОКР. СУДЪ
ВОЕН. ИНЖ. РОТА
АРТИЛЛЕРІЙСК. ПЕР.
АРТИЛЛЕРІЙСКАЯ УЛИЦА
УПР. ПОЧТ. ОКР. ПОЧТ. СТ.
ОЛЬДОВСКАЯ УЛИЦА
ДАЛЬНЯЯ УЛ.
ПАРАЛЛЕЛЬ
ГОСТ. РОССІЯ
ТИФЛ. ГИМНАЗ.
ВОЕННЫЙ СОБОРЪ
ДОМЪ ГЛАВНОКОМАНД. ВОЙСКАМИ КАВК. ВОЕН. ОКРУГА
ЖЕНСКАЯ ГИМНАЗІЯ
ПУБЛ. БИБЛ.
ХРАМЪ СЛАВЫ
ТИФЛ. ПОЧТ. УПРАВ.
ПРАВ. ДУХ. СЕМ.
ПР. ЦЕР. АЛЕКС. НЕВ.
ГЕОРГІЕВСКІЙ ПЕР.
АЛЕКСАНДР. САДЪ
ПР. ЦЕР. СВ. ВАРВАРЫ
ПРАВ. СВ. ПРЕОБРАЖ.
МАДАТОВСК. УЛ.
ОРБЕЛІАНОВСК. 2 УЛ.
ОРБЕЛ. 1 УЛ.
СОЛДАТ. БАЗ.
ТРАФИЧ. УЛИЦА
ПР. Ц. С. ТРАФ. ЦЫЦЫ
ТИФЛ. ГОР. ДУМА
ТИФЛ. ГОР. ВАННЫЯ ЗАВЕДЕНІЯ
ТИФЛ. ГОР. ПОЛИЦІЯ
ТИФЛ. ГОР. ТЕАТРЪ
ТИФЛ. ГОР. ЛАВКИ
ТИФЛ. ГОР. ЛАВКИ
ТИФЛ. ГОР. ЛАВКИ

ბროსეს ქუჩა რუსთაველის გამზირის პარალელურად ვითარდება და მის გაყოლებაზე რამოდენიმე სახლს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვს მინიჭებული, მათ შორის ბროსეს ქ. №4, №27, №29 და სხვ. უმეტესობა XIX საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება და სამხედრო დანიშნულებისა იყო, აქედან გამომდინარე, ისინი არ გამოირჩევიან განსაკუთრებული არქიტექტურული კაზმულობით, თუმცა, ღირებულია მათი გეგმარებითი სტრუქტურა და შეულესავი აგურით ნაგები მონუმენტური კედლები. დღეს შენობების უმეტესობა უკვე დანგრეულია და ჩანაცვლებულია თანამედროვე ნაგებობებით.




ქუჩა-აღმართი " Большая сапёрная " სახელით ქალაქის რუკებზე უკვე XIXს. 60-იანი წლებიდან ჩანს, ანუ იმ პერიოდიდან, როდესაც რუსთაველის გამზირი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც ქალაქის საადმინისტრაციო, ფინანსური და კულტურული ცენტრი. ამ პერიოდისთვის XIXს. I ნახევარში აქ აშენებულ ქარვასლებს, (ერევანსკის მოედანზე, ყოფ. სასახლის ქუჩაზე), ემატება ბევრი ახალი მდიდრული მაღაზია, ხოლო XXს. დასაწყისისათვის შენდება ახალი ბანკები, თეატრები და კინო-თეატრები.

XIX საუკუნის დასაწყისში ამ ტერიტორიაზე ჩნდება სტიქიური განაშენიანება, რაზეც მიუთითებს მთავარმართებელ ტორმასოვის მიერ შედგენილი 1810 წლის საბუთი გარეთუბანში უგეგმო და უკონტროლო მშენებლობების აკრძალვის შესახებ. 1809 წლის თბილისის გეგმაზე ჩანს დაპროექტებული რეგულარული ქუჩების ქსელი, რომელთა შორის რუსთაველის გამზირიც იკვეთება. დაიწყო ინტენსიური მშენებლობა: აშენდა სამხედრო


უწყების შენობები და სამთავრობო დაწესებულებები. საუკუნის პირველ ათეულ წლებშივე გარეთუბანი იქცა არისტოკრატიის საცხოვრებელ უბნად. ქართველი თავადაზნაურობის ნაწილმა ალღო აუღო ახალ დროს და მათ იწყეს სახლების მშენებლობა საკუთარ მამულებში. ტრადიციულად, ქალაქის ზღუდის გარეთ არსებული ბაღები სამეფო ოჯახისა და თავადაზნაურთა საკუთრებას წარმოადგენდა. XIX ს-ის დასაწყისიდან, რთული ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მათი მამულების ნაწილი საკმაოდ იაფად შეიძინა ამ დროისათვის თბილისში მომრავლებულმა არაქართველმა მოსახლეობამ.

1833-35 წლებში ქალაქის მიწისმზომელ ტოვარნიცკის მიერ შემუშავდა გარეთუბნის განაშენიანების გეგმა, რომლის მიხედვითაც გოლოვინის გამზირის ამ განაშენიანების მთავარ ღერძად იქცა. 1840-იანი წლებიდან დაიწყო განაშენიანების სწრაფი განვითარება და კეთილმოწყობა.

1844 წლის გეგმაზე ჩანს საინჟინრო სამმართველოს შენობა (№49), მესანგრეთა ბატალიონის ყაზარმა (№71), კავკასიის სამხედრო ოლქის საარტილერიო ჯარების მეთაურის სამმართველოსა და შტაბის შენობა (№57); გოლოვინის გამზირის განაშენიანება ჯერ კიდევ საკმაოდ ამორფულია. უკვე გამოკვეთილია მესანგრეთა (№19, Сапёрная დღეს თაბუკაშვილის) ქუჩის მიმართულება. ყალიბდება ბარიატინსკის ქუჩა (№22, დღეს გ. ჭანტურიას ქ.), გამოკვეთილია ინჟინრის, დღეს ვირსალაძის (ასევე №22) ქუჩა. ჩანს ლაბორატორიის (№21) ქუჩა – შემდგომში მესანგრეთა შესახვევი (Сапёрный пер.) დღევანდელი ბროსეს (большая водовозная) ქუჩის ნაწილი, მტკვარზე ჩანს დროებითი, ე.წ. ინჟინრის ხიდი.



აღნიშნული შენობები სახასიათო დიაგონალური მოხაზულობით ასევე იკვეთება ქ. თბილისის XX საუკუნის ფოტო-პანორამაზე. შენობები მტკვრის მხარეს არსებული კლდის ნაწილზე სართულებად ვითარდება, ხოლო ბროსეს ქუჩის მხარეს გამავალი ეზოს სივრცეში ორსართულიანია.



ბროსეს ქუჩის განაშენიანებაში, გარდა ზემოაღნიშნული სამხედრო დანიშნულების ნაგებობებისა, შემორჩენილია, როგორც ამპირის სტილის ნაგებობები, ასევე ტიპიურად „თბილისური“ ხის აივნიანი სახლები. თბილისის ისტორიული განაშენიანებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ეს ნაირფერობა, რომელიც სხვადასხვა არქიტექტურულ სტილებსა და პერიოდებს წარმოაჩენს და როდესაც ერთმანეთის გვერდით ადგილობრივი ხუროთტრადიციისა და ევროპიდან შემოსული მოდერნის სტილის შენობები თანაარსებობს.





უშუალოდ, საკვლევი ტერიტორია განსაკუთრებით კარგად აღქმადია მარცხენა სანაპიროდან.

მტკვირს მარჯვენა სანაპირო რელიეფის მატებასთან ერთად, მონუმენტურობას იძენს. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ბროსეს ქუჩის ე.წ. უკანა ფასადი, რომელიც აგურის დამცავ კედლებზე და კონტრფორსებზე აღმართულ სამ-ოთხსართულიანი აგურისავე განივი არქიტექტურით არის წარმოდგენილი.



მარჯვენა სანაპიროს მიმდებარე განაშენიანებამ XX ს-ის განმავლობაში ორჯერ მკვეთრად იცვალა სახე, პირველად, როდესაც საუკუნის დასაწყისში მტკვრის კალაპოტი ბეტონის ჯებირებში მოაქციეს და ისტორიულ ქალაქსა და მდინარეს შორის საავტომობილო ესტაკადა გაჩნდა; მეორედ კი, როცა ჯერ საუკუნის მიწურულს და შემდგომ ჩვენს ეპოქაში სანაპიროს ზედა ტერასები მრავალსართულიანმა მოცულობებმა დაიპყრო. ეს პროცესი ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში „ივერია-რედისონის“ და ფოსტის შენობის აგებით დაიწყო, ხოლო სულ ახლახან „ბილტმორის“ მრავალსართულიანი კოშკით დაგვირგვინდა.



საკვლევი ობიექტი ყოფ. სამხედრო დანიშნულების შენობა და მისი დამხმარე ნაგებობები განაშენიანების საერთო სურათში მოკრძალებულად გამოიყურება, თუმცა, მისი გრძივი, შეულესავი აგურით ნაგები ფასადი, რომელიც პირდაპირ კლდეზეა დასმული, მნიშვნელოვან ურბანულ აქცენტს ქმნის მარჯვენა სანაპიროს გრძივ განვითარებაში.

ვრცელი ეზოს ფარგლებში არსებული ისტორიული განაშენიანება სრულიად დეგრადირებულია როგორც მოუვლელობით, ასევე რამდენიმე წლის წინ მომხდარი ხანძრის შედეგად.






მთავარ ორსართულიან შენობაში უკანასკნელ დრომდე ე.წ. ტუბდისპანსერი ფუნქციონირებდა. მისი დახურვის შემდგომ მიტოვებული შენობები უფუნქციოა. დაბალი, ერთსართულიანი აგურის ნაწილი, სავარაუდოდ, ძველი (იმპერიის დროინდელი) საჯინიბოს ნაშთია, ხოლო ორსართულიან კორპუსში ადმინისტრაციული ნაწილი იყო განთავსებული.




ეზოს ნაწილში განვითარებული ფასადი შელახულია და სრულიად დაკარგული აქვს აუთენტურობა. თუმცა, ფრაგმენტულად ვხვდებით ძველი შენობის ღირებულ ნაწილებსაც, რომლებიც სამწუხაროდ, უმძიმეს მდგომარეობაშია.



ამ ნახევრადდანგრეული ფლიგელის გარდა, რომელიც სავარაუდოდ შენობის ძველ სადარბაზოს წარმოადგენს, დანარჩენი ინტერიერი: დეერეფნები, კიბეები, კაბინეტები გვიანდელი საბჭოთა პერიოდისაა და არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს.






აღსანიშნავია, რომ შენობის ერთი ნაწილი, რომელიც თეთრი სილიკატური აგურით არის აშენებული, რაც კარგად ჩანს სანაპიროდან, სრულიად დეგრადირებულია და ფიზიკურად საშიში. ოთახებში ჩამონგრეულია ჭერი, მორღვეულია სართულშუა გადახურვები. ამას ემატება ხანძრის შემდგომ დარჩენილი ნაგავი, რაც ერთობლიობაში მძიმე სანახაობას წარმოადგენს.






ობიექტის მიმდებარე ისტორიული განაშენიანება მნიშვნელოვნად არის დაზიანებული გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც მიკროუბანში ზედიზედ დაინგრა რამოდენიმე თანადროული შენობა და აშენდა უსახური, მსხვილი სახლები, კერძოდ, ბროსეს ქ. №12-ის უკანა მხარეს პოლიკლინიკის ექვსსართულიანი კორპუსი რ. ლაღიძის ქ. №3, ასევე მის მომიჯნავედ, ბროსეს ქ. №№6-8-10 მსხვილი საცხოვრებელი უბანი.





დასკვნა-რეკომენდაცია

ბროსეს ქ. №12-ით რეგისტრირებული არქიტექტურული ობიექტები არ არის ფიქსირებული როგორც კულტურული მემკვიდეობა, თუმცა, ეს განაშენიანება XIX საუკუნის შუაწლებს მიეკუთვნება და ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი მხატვრულ-არქიტექტურული ელემენტები.

აღსანიშნავია, აგრეთვე, შენობების უკიდურესად მძიმე ფიზიკური მდგომარეობა. შესაბამისად, მათი რეკონსტრუქცია, ნაწილობრივი დაშლა და თანამედროვე არქიტექტურული ნაწილებით შევსება infield დიზაინის პრინციპით ამ შემთხვევაში შესაძლებლად მიმაჩნია. კერძოდ:

- არსებული განაშენიანების მასშტაბი შესაძლებელია გაიზარდოს, ვფიქრობ, თანამედროვე არქიტექტურული ფორმით გადაწყვეტილი დაშენებით, რომელიც რამდენადმე დაბალი იქნება გვერდზე არსებული შენობების – ლაღიძის ქ. №3 და ბროსეს ქ. №№6-8-10 განაშენიანების სიმაღლის;
- უკიდურესად მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, სარეკონსტრუქციო ობიექტის ზედა ნაწილი (ორი სართული) შესაძლებელია დაიშალოს და კვლავაიგოს კლდეზე ჩაშენებული შეულესავი აგურის ნაწილის შენარჩუნება-გამაგრებით;

- შენობის რეკონსტრუქციიდან მნიშვნელოვანია, რომ შორი ხედიდან შეუცვლელი დარჩეს ქვედა, აგურით ნაშენი ნაწილის მთლიანობა და მისი კლდესთან შერწყმული მონუმენტური იერსახე;
- აგურის ისტორიულ ნაწილზე შესაძლებლად მიმაჩნია თანამედროვე, ახალი მოცულობების მორგება რამდენადმე შეწევით, განსხვავებული ფაქტურით და მორგებული მასშტაბით იმისათვის, რომ წამყვანი ამ რეკონსტრუირებულ ობიექტში დარჩეს ძველი აგურის ნაწილი;
- ისტორიული შენობის ჯერ კიდევ შენარჩუნებული ძველი სადარბაო უჯრედი – თუჯის ჩამოსხმული კიბე, თაღოვანი სარკმლები და სხვა ღირებული ელემენტები უნდა აიზომოს, დასაწყობდეს და სასურველია გამოყენებულ იქნას ახალ არქიტექტურულ ფორმაში;
- ობიექტის შიდა ტერიტორიის გაწმენდის შემდგომ, შესაძლებელია გამოვლინდეს კიდევ სხვა საინტერესო დეტალები – მაგ: ერთსართულიანი საჯინიბოს ექსტერიერში, რომლებიც ასევე სასურველია დაფიქსირდეს და საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულ იქნას ახალ ფორმით;
- მნიშვნელოვანია, რომ თბილისის ვრცელ პანორამაში, რომელიც მარცხენა სანაპიროდან იხსნება, ახალი ობიექტი ჩაეწეროს როგორც ისტორიული განაშენიანებასთან თავსებადი არქიტექტურა, როგორც მასშტაბით, ასევე ფერითა და ფაქტურით;
- ნაგებობის გადახურვა უნდა მოხდეს უბნისთვის ტრადიციული, დაუანგული სახურავებით, რომლებსაც ექნებათ დიფერენცირებული ფორმა.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი